

შპს “ჯორჯიან პერლიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

N	შინაარსი	გვ
1	ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	3
2	ანგარიშგება შემოსავლებისა და მოგება ზარალის შესახებ	4
3	ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ	5
4	ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებების შესახებ	6
5	ახსნა განმარტებითი შენიშვნები	7-13

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ლარი)			
	შენიშვნა	2020	2019
აქტივები:			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	1	24 411	33
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	144 689	125 445
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3	82 126	60 732
საგადასახადო აქტივი			
სულ მიმდინარე აქტივები		251 227	186 211
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 336 164	2 408 375
არამატერიალური აქტივები		115 290	121 031
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 451 455	2 529 406
სულ აქტივები		2 702 681	2 715 617
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტი			
სავაჭრო ვალდებულებები	5	181 723	216 492
გამოუმუშავებელი შემოსავალი (ავანსი)		3 888 965	3 667 524
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		385 207	388 097
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		3 664	1 882
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებისათვის			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		174 974	208 187
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4 634 533	4 482 181
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	6	44 870	194 343
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		44 870	194 343
სულ ვალდებულებები		4 679 403	4 676 524
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		(1 976 822)	(1 961 007)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1 976 722)	(1 960 907)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 702 681	2 715 617

შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნები	საანგარიშო პერიოდი 2020 წელი
ამონაგები	7	1 687 693
რეალიზებული პროდუქციის მომსახურების/თავითირებულობა	8	(673 808)
საერთო მოგება		1 013 885
სხვა შემოსავალი		
კომერციული დანახარჯები		(246 262)
ცვეთა და ამორტიზაცია		(128 364)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(469 812)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(59 657)
საოპერაციო მოგება		109 791
არასაოპერაციო შემოსავალი		2 302
არასაოპერაციო ხარჯები		(127 907)
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯები		
მოგება დაბეგვრამდე		(15 815)
მოგების გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		(15 815)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(1 961 007)
მოგებისგანაწილება დივიდენდის სახით		
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(1 976 822)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	(ლარი)
	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1 873 059,50
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი	
შესყიდულ საქონელზე გადახდილი ფულადი სახსრები	(529 873,91)
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(578 945,81)
დღგ და სხვა გადასახადები	(106 438,12)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(386 874,36)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	270 927,30
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
მანქანადანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	
მანქანადანადგარების შეძენა	(60 312,84)
საოფისე ფართის შეძენა	
სესხის დაბრუნება	
სესხის გაცემა	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(60 312,84)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
ნასესხები სახსრების მიღება	9 760,00
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებების გადახდა	
ნასესხები სახსრების გადახდა	(195 996,34)
გაცემული დივიდენდი	
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(186 236,34)
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების წმინდა ზრდა /(შემცირება)	(24 378,12)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	გაუნაწილებ -ელი მოგება	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის	100	0	(1 961 007)	(1 960 907)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				(15 815)
გაცემული დივიდენდი				0
2020 წლის 31 დეკემბრის	100	0	(1 976 822)	(1 976 722)
მდგომარეობით				

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. „ჯორჯიან პერლიტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 17 თებერვალს. ს/ნ 404888341.

კომპანიის მესაკუთრეები არიან :

1. კომპანია კლიმერ ლიმიტედ, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), 1606218;
2. მიკოლა სტუცენკო, უკრაინა, 2042710392, ET466886;
3. ირინა კორუნსკაია, უკრაინა, 2294813140, EX163352.

კომპანიის გენერალური დირექტორი ნუგზარი სამხარაძე, პ.ნ. 01012008912.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #4, ბინა #34.

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #54.

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ეკონომიური საქმიანობის (NACE) კოდი 08990, სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები (პერლიტის მოპოვება, გადამუშავება, რეალიზაცია).

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

1.6 კომპანია საქონელს ჰყიდის ძირითადად ექსპორტზე (საზღვარგარეთ) , მცირე ნაწილს საქართველოში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

2.9 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.10 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.11 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.13 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.14 ბანკის სესხები, საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ახსნა-განმარტებები

3.1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ახსნა-განმარტებები.

3.1. ფულადი სახსრები.

შენიშვნა 1

დასახელება	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფულადი სახსრები ბანკის ანგარ.	24 411	33
სულ ფულადი სახსრები:	24 411	33

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს სს „საქართველოს ბანკში“ და სს „ბანკი ქართუში“, არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშები არ აქვს.

3.1.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

შენიშვნა 2

დასახელება	2020 წ	2019 წ
მოთხოვნები მიწ. და მომსახ.	144 689	125 445
გადახდილი ავანსები.	0	0
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები.	144 689	125 445

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან (პერლიტის ნედლეულის მოპოვება, გადაზიდვა, გადამუშავება, რეალიზაცია).

3.1.3 სასაქონლო მატ. მარაგები

შენიშვნა 3

დასახელება	2020 წ	2019 წ
მასალები და ნედლეული	7 876	4 394
დაუმთავრებელი წარმოება		
საქონელი	6 555	9 795
მზა პროდუქცია	67 695	46 543
სულ მარაგები	82 126	60 732

მასალებისა და ნედლეულის ნაშთი შედგება საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მასალებისაგან. საქონლის ნაშთი 6 555 ლარი შეადგენს ზიგ-ბეგებისა და საწვავის ნაშთს, ხოლო მზა პროდუქციის ნაშთი 67 695 ლარი შეადგენს სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფრაქციონირებული პერლიტის ნაშთს.

3.1.4 ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 4

თვითღირებულება	ნ. 31,12,20	შემოსვლა	გასვლა	ნ.31,12.19
მიწის ნაკვეთები	65 350			65 350
დაუმთავრებელი მშენებლობა	25 764	29 143	34 635	31 256
1000 ლარამდე ძირ. საშუალებები	3 139			3 139
შენობა	666 972			666 972
ნაგებობები	515 546			515 546
მანქანა დანადგარები	1 183 483	31 528		1 151 955
ოფისის აღჭურვილობა	7 370			7 370
ავეჯი და სხვა ინვენტარი	19 015	4 786		14 229
სატრანსპორტო საშუალებები	526 459	17 004		509 455
არამატერიალური აქტივი	166 554	2 587		163 967
სულ ჯამი	3 179 651	85 048	34 635	3 129 239

ცვეთა	6. 31,12,20	ცვ. დარიცხვა	ცვ. ჩამოწერა	6.31,12.19
მიწის ნაკვეთები				
დაუმთავრებელი მშენებლობა				
1000 ლარამდე ძირითადი საშ.	3 139			3 139
შენობა	81 607	13 059		68 548
ნაგებობები	104 518	15 852		88 667
მანქანა დანადგარები	321 869	56 378		265 491
ოფისის აღჭურვილობა	5 464	737		4 727
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 558	1 488		9 070
სატრანსპორტო საშუალებები	149 778	32 522		117 256
არამატერიალური აქტივი	51 264	8 328		42 936
სულ ჯამი	728 196	128 364		599 833
საბალანსო ღირებულება.	2 451 455			2 529 406

კომპანიას გააჩნია:

- მიწის ნაკვეთი წალკის რაიონ, დაბა თრიალეთში, სულ 86 024 კვ.მ. ღირებულებით 65 350 ლარი, სადაც განლაგებულია პერლიტის გადამამუშავებელი ქარხანა თავისი შენობა-ნაგებობებით.
- მანქანა-დანადგარები შედგება პერლიტის გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზებისაგან.
- სატრანსპორტო საშუალებები შედგება ძალოვანი სამთო ტექნიკისაგან.
- არამატერიალური აქტივები:
- არამატერიალური აქტივები მოიცავს შემდეგ ლიცენზიებს:
 - ლიცენზია #1001262- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარავნის ტერიტორიაზე „ფარავნის“ პერლიტის შესწავლა-მოპოვება;
 - ლიცენზია #1001263 - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარავნის ტერიტორიაზე „ფარავნის“ პერლიტის გამოვლინება;
 - ლიცენზია #1002571 - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარავნის ტერიტორიაზე „ფარავნის“ პერლიტის გამოვლინება.

3.1.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

შენიშვნა 5

დასახელება	2020 წ	2019 წ
სავაჭრო ვალდებულება	181 723	216 492
მომსახ. წარმოქ. ვალდებულ.	0	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.	181 723	216 492

კომპანიის ვალდებულებები შედგება მომსახურე ორგანიზაციების მიმართ არსებული დავალიანებისაგან.

3.1.6 გრძელვადიანი სესხი

შენიშვნა 6

დასახელება	2020 წ	2019 წ
ქართუ ბანკი	44 870	194 343

გრძელვადიანი სესხის ნაშთი თანხით 44 870 ლარი შეადგენს სს „ქართუ ბანკიდან“ აღებული გრძელვადიანი სესხის დარჩენილ ნაწილს. სესხის დაფარვის თარიღია 2021 წელი. ვადაგადაცილებული დავალიანება კომპანიას არ ერიცხება.

3.2 შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის შესახებ ახსნა-განმარტება.

3.2.1 ამონაგები

შენიშვნა 7

დასახელება	2020 წელი
საქონლის ადგილობრივი რეალიზაციიდან ამონაგები	188 559
საქონლის ექსპორტიდან ამონაგები	1 499 134
ამონაგები სულ	1 687 693

3.2.2 რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

შენიშვნა 8

დასახელება	2020 წელი
მომსახურების თვითღირებულება	0
რეალიზ. საქონლის თვითღირებულება	673 808
სულ თვითღირებულება	673 808

3.2.3. ადმინისტრაციული ხარჯები

შენიშვნა 9

დასახელება	2020 წელი
ხელფასები	404 751
საიჯარო ქირა	28 346
კომუნიკაციის ხარჯი	5 613
დაზღვევა	5 093
საოფისე ხარჯი	2 150
მომსახურების ხარჯები	7 478
საბანკო ხარჯი	3 870
მივლინება	2 000
კომუნალური	2 365
საწვავის ხარჯი	8 147
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	469 812

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 16 სექტემბერს.

შპს “ჯორჯიან პერლიტის“

გენერალური დირექტორი:

ნუგზარი სამხარაძე

3.2.3. ადმინისტრაციული ხარჯები

შენიშვნა 9

დასახელება	2020 წელი
ხელფასები	404 751
საიჯარო ქირა	28 346
კომუნიკაციის ხარჯი	5 613
დაზღვევა	5 093
საოფისე ხარჯი	2 150
მომსახურების ხარჯები	7 478
საბანკო ხარჯი	3 870
მივლინება	2 000
კომუნალური	2 365
საწვავის ხარჯი	8 147
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	469 812

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 16 სექტემბერს.

შპს "ჯორჯიან პერლიტის"

გენერალური დირექტორი:

ნუგზარი სამხარაძე

